საქართ. მუშათა სოც.-დემოკრატიული მუშების პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

სამშაბათი აგვისტოს 22 1922 წ.

ცალ. ფასი 5000 მან. — პროვინც. 6000 მან.

## განცხადება
### (თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ)

**თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისია**

ამით აცხადებს, რომ თანახმად თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა № 6 შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის მაგიერ ფულის აკრება თბილისში იწყება ამა წლის 21 აგვისტოდან.

ფული მიიღება სამისამართო მაგიდის წარმომადგენლებთან კომისარიატებში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ფული უნდა შეკრიბონ მდგმურებიდან, თანახმად § 3 დადგენილებისა №6 და წარადგინონ სახლის პატრონებმა ან მათ მაგიერ პირებმა.

ფულის გადამხდელთ მიეცემათ სპეციალური მარკები

ვინაიდან ფული უნდა იქნას გადახდილი ოქროს კურსით, კურსი იქნება გამოცხადებული ცალკე ა. წ. 20 აგვისტოს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ნახუცრიშვილი.

4—3 პასუხის მგებელი მდივანი, კომისიის წევრი ა. რუხაძე.

**ტფილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის**

## ხარკის გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ

**ის პირნი, ვინც დაბეგრილია შრომისა და ტვირთზიდვის ხარკით იხდიან**

თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, № 6, 5 მანეთის ნაცვლად ოქროთი 475,000 მ., 10 მან. ნაცვლად 950,000 მან. და 12 მან. 1,140,000 მან.

ზემო აღნიშნული კურსი დადგინდება 21—26 აგვისტომდე ა. წ.

2—1

## სასურსათო გადასახადი

გასულ თვეებთან შედარებით ჩვენი სასურსათო ბაზარი გამოცოცხლდა, სიგარეთო ვაჭრობის გაფართოებამ რომელშიაც უდიდესი პროცენტი ხორბლეულობას უჭირავს, გამოიწვია ცხოვრების გაიაფება და ხელი შეუწყო ფულის კურსის განმტკიცებას.

წელს მოსავალი საშუალოზედ მეტია საერთოდ, რაც საფუძველი უნდა გახდეს ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის.

სასურსათო გადასახადი, მართალია მრავალ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული და უჩვეულოა ჩვენი გლეხისათვის, მაგრამ არსებულ პირობებში, როდესაც საფინანსო მეურნეობა აწეწილ-დაწეწილია და ფულის ნიშნების ღირებულება ცვალებადი, ეს ერთ-ერთი საშუალებაა, რომლის საშუალებით სახელმწიფოს ხელში დაგროვდება დოვლათი და შესაძლებელი გახდება განაწილებაში რეგულიაცია.

როგორი საფინანსო პოლიტიკაც არ უნდა იქნეს წარმოებული და სემინარიო მეურნეობა როგორი წესითაც არ უნდა წარიმართოს, დღეს შექმნილი პირობების გამო, თუ სასურსათო თადარიგი არ იქნება სახელმწიფოს ხელში, ჩარჩების ნება-სურვილი იქნება ჩვენი საფინანსო პოლიტიკის ტონის მიმცემი და მათზედ იქნება დამოკიდებული ფულის კურსის სიმტკიცე.

ამიტომ სასურსათო გადასახადის შეკრება, სასურსათო გადასახადის კამპანიის სათანადოთ ჩატარება ძლიერ შეუწყობს ხელს მთელი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას.

დღეს არა მარტო ჩვენში, სადაც ყოველთვის გვჭირდებოდა პურის შემოტანა ჩვენი სასოფლო-მეურნეობის განუვითარებლობის გამო, არამედ მთელ მსოფლიოში სასურსათო კრიზისი მწვავე ხასიათს იღებს. უმუშევართა მრავალრიცხოვანი კადრი მშიერი დღეებში ევროპის სატახტო ქალაქებში და ლუკმა პურის მაძიებელი მასის რაოდენობა თანდათან იზრდება.

ჩვენ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, რომ ისე მოვმართოთ საკუთარი რესურსები, რომ თავიდან ავიცდინოთ სასურსათო კრიზისი. ამ მხრივ უპირველესი ნაბიჯი სასურსათო გადასახადის კამპანიების ჩატარებაა. ამ კამპანიების ჩატარებას ხელი უნდა შეუწყოს ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია ხალხის ფიზიკური არსებობით, მასი კეთილდღეობით.

ჩვენი და ყოველი პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა, რომ ჩავაგონოთ ჩვენ გლეხობას ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს სასურსათო გადასახადს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში და ამით თვით მათი არსებობის პირობების გაუმჯობესებაში.

მარტო სასურსათო გადასახადით არ შეიძლება მიზანს მივაღწიოთ. გადასახადისაგან შეგროვილი მარაგი მეტად მცირე იქნება, რაც ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილების მნიშვნელოვან ნაწილს. ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ და კოოპერატივებმა სასურსათო გადასახადის აკრების პარალელურად აწარმოონ სურსათის შესყიდვა.

ჩვენ ხელთ არის ცნობები, რომელნიც გვაუწყებენ, რომ სოფლებში, სადაც ეხლა ხორბლეულობის ფასი მეტად მცირეა, ჩარჩები კვლავ საქმიანობენ და გლეხებს ხელიდან აცლიან სარჩოსაბადებელს.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან იგი დამღუპველია განსაკუთრებით დღეს, როდესაც ყოველი გირვანქა ხორბლეულის მომჭირნეობა ჩვენთვის საჭიროა და აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რომ მუშა-მოსამსახურეებს საშუალება ჰქონდეს არსებობისათვის საჭირო მინიმუმის შეძენის მაინც. ეს ვერ მოხდება თუ კი ჩარჩების ხელში გადავა სურსათი, რომელნიც ბაზარზედ მონოპოლიურ ფასებს განაწესებენ.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სასურსათო გადასახადის აკრებას, ისე სურსათის შესყიდვას სახელმწიფოსა და კოოპერატივების მიერ.

ამით ჩვენ ვიხსნით გლეხს ჩარჩების ხელისაგან და მას მივაწვდით მისთვის აუცილებელ პროდუქტებს, ხოლო ქალაქის მუშას ვიხსნით ხელოვნურად გადიდებული ფასებისაგან.

სახელმწიფოსა და კოოპერატივების ხელში სასურსათო მარაგის დაგროვება მოგვცემს გარანტიას წარმოების ყოველ დარგის ამუშავებისათვის და საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის. ამ მხრივ საჭიროა დიდი მუშაობა, დიდი ენერგიის გაღება.

მემარჯვენე პარტიებს და მთელ კაპიტალისტურ ევროპასაც დიდი იმედი ქონდა საბჭოთა რესპუბლიკებში სიმშილობის, რომელიც მათი აზრით ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა წყობილებას. ეს არ გაუმართლდა მათ და ვერც სიმშილმა და ვერც საერთაშორისო კომბინაციებმა მათი იმედი ვერ აასრულა. საგარეო პოლიტიკის განწყობილება, რომელიც რევოლიუციურად გამოაშკარავდა უკანასკნელი ხნის კონფერენციების შემდეგ და მოსავლის კარგი მდგომარეობა სასიკვდილო განაჩენია მემარჯვენეთა ილიუზიების.

ვისაც ერისა და ხალხის სამსახური სურს, იგი ჩვენი ცხოვრების მოწესრიგების საქმეს უნდა შეუდგეს, ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა იმუშაოს.

სასურსათო გადასახადის აკრება გაამაგრებს საბჭოთა საქართველოს, დაამტკიცებს მის დამოუკიდებლობას. და ვინც ამაში ხელს შეუშლის, ის მტერია ჩვენი დამოუკიდებლობის.

## თურქული პრესა

ანგორაში არსებული დიდი ეროვნული საბჭოს ორგანო გაზეთ „ხაქი მიიეთ-ი მილლიიე"-ში, მოყვანილია, რუსეთის ელჩის მიერ, საელჩოში დიდი ეროვნული საბჭოს წევრების პატივსაცემად გამართულ ბანკეტში წარმოთქმული სიტყვები.

ბანკეტის დაწყებამდე, საათის ხუთზე, საელჩოს ბაღში, თურქებისა და რუსების მსახიობთა და მწერალ პოეტებთა მიერ იქმნა წარმოდგენები გამართული, და ლექსები წაკითხული. მუსიკაც სხვა და სხვა ნომრების მელოდიებით სიამოვნებას გვრიდა დამსწრეებს.

ბანკეტს დაესწრო, დიდი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ედნონ ბეგი, ეროვნული თავდაცვის გამგეობის მოადგილე ქაზიმ ფაშა, ფინანსთა გამგეობის მოადგილე ხასან ფეჰმი, განათლების—ვეჰბი და რაფეთ ფაშა, იუსტიციის—ბეჰჩეთ ბეგი და თევფიკ ბეგი, ეროვნული საბჭოს წევრები, სპარსეთის ელჩი მუმთაზუდდევლე, ავღანისტანის ელჩი სულტან ახმედ ხანი, ადერბეიჯანის ელჩი აბილოვი, პრესის ბიუროს გამგე ახმედ-ბეგ აღა ოღლი (აგაევი), გაზეთის თანამშრომლები და სხვა მწერალ პოეტები.

ბანკეტში რუსეთის ელჩმა არალოვმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: ჩემდა სამწუხაროდ ტექნიკური მიზეზების გამო საბჭოს ყველა წევრების მოწვევის ბედნიერებას შევიქენი მოკლებული.

ეს წვეულება დიდ სადღესასწაულო დღეს მოხდა. მთელს თურქეთის ხალხს რუსის ერისა და ჩემი სახელით მოგილოცავთ სთქვა და თან 23-ში ივლისის ძვირფას დღეებსაც, ერზრუმის კონფერენციის დაწყების დროს შეხვედრა აღნიშნა და თურქებისა და რუსების რევოლიუციის მსგავსობა მოიხსენია და დასძინა კვლავ შემდეგი:

იმპერიალისტებმა თურქებთან და რუსებთან სეპერატიულად მოლაპარაკებით მათი გათიშვა მოინდომეს. რუსეთი ევროპის კონფერენციის მიერ რომ იქმნა მოწვეული, ჩიჩერინმა თურქებისაც კონფერენციაზე დაშვება მოითხოვა, მაგრამ 34-ტი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ უარი იქმნა გამოცხადებული. ეხლა კი ანტანტა ოსმალეთის მონაწილეობით იზმითში, ანუ ბეიკოზში კონფერენციის მოწვევას აპირებს. რუსეთის საბჭოთა მთავრობას სწამს, რომ თურქების ძალა ეროვნულ აღთქმათა ფარგლებში ზავის უზრუნველყოფას დააკმაყოფილებს. ოსმალეთი მტრებზე გაიმარჯვებს და სახელოვან ზავს მოესწრება. მტრებმა, ჩვენი ერთობის საწინააღმდეგო რა ზომებიც არ მიიღონ, ჩვენ სულითა და გულით ისე ვართ დაკავშირებული, რომ ჩვენ გათიშვას ვერ შესძლებს, მათი ინტრიგებით. თურქები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მარტონი არ არიან.

თურქებს რუსეთის გარდა, სპარსეთისა და ავღანის სახელმწიფონი და ადერბეიჯანის საბჭოთა მოკავშირეთა ჰყავს და ამ მათი წარმომადგენლებიც ჩვენს სუფრაზე სხდებიან. თურქები და აღმოსავლეთი აუცილებლად გამარჯვებას მიაღწევენო, ამ სიტყვის დასასრულს არალოვმა თურქულად სთქვა „იაშასუნ თურქიე, იაშასუნ ასქერი" (ცოცხალი იყოს თურქეთი, გაუმარჯოს თურქის ჯარს) ამ სიტყვებმა დამსწრეთა ზედა მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა.

ა-ნ არალოვის სიტყვის შემდეგ, ადერბეიჯანის ელჩმა აბილოვმაც ჩვენი დამოუკიდებლობის დღესასწაულში, ადერბეიჯანსაც მონაწილეობის მიღება შემდეგის სიტყვებით გადმოგვცა:

„ადერბეიჯანის სახელით გულწრფელ მოლოცვას გადმოგცემთ. თურქების ყოველ ბედნიერებაში ადერბეიჯანის თურქები და მთელი აღმოსავლეთი მონაწილე არის. თურქებს მიერ ამ თოთხმეტი წლის წინეთ თავისუფლებისათვის წარმოებული რევოლიუცია, ადერბეიჯანისათვისაც სააღმშენებლო დღეთ იქმნა მიღებული. თქვენი დღესასწაულები, ჩვენი დღესასწაულიც არის. თქვენი მტრების შუზებით სამშობლოდან განდევნა, ადერბეიჯანის ბედნიერიდღე უნდა შეიქმნას. განმეორებით ამ თავისუფლებას დღესასწაულს მოგილოცავთ".

ავღანისტანის ელჩი სულტან ახმედ-ხანიაც, განსაკუთრებით ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს შეეხო და მუსლიმანებს დაქვეითების ხანას ბოლო ედება წარმატებისა და ამაღლების ჟამი დაწყებულია. ჩვენ აღმოსავლეთელები სავსებით დაკავშირებულივართ, ჩვენი გათიშვა შეუძლებელია ჩვენ აღმოსავლეთელები სხვა ჩვეულებისა ვართ. მტრებში შეძახილი ხმის აღმაძახილით გულწრფელობას, გულწრფელობით შეხვდებით და სიმკაცრესა კი—სიმკაცრით ვევედრები უფალს, რომ აღმოსავლეთი იქმნეს ბედნიერი, პატარა ერებიც სავსებით იყოს დამოუკიდებელი. გაუმარჯოს თურქების გმირ ჯარს, რომელიც თავის ერისა და აღმოსავლეთისათვის სისხლს ღვრისო" და სხვა.

სულტან ახმედ-ხანის შემდეგ სპარსეთის ელჩმა მუმთაზუდდევლე ისმაილ ხანმაც წარმოსთქვა შემდეგი: „თურქის ერისთვის ყველაზე უფრო მისალოცი, ღირსშესანიშნავი თვისება, მათში ჩემ მიერ ნანახი გულუხვობა, გულამდგრობა, თავდადებულობა. ერის სულისკვეთება ამ ორ ბწკარ ლექსში გამოიხატება:

„ან უნდა ავმაღლდეთ და ქვეყნის ჩარხის
სათავეში ფეხთ შევსდგათ,
და ანუ სატრფოს გულისათვის თავი
უნდა შევაკლათ."

ხალხთან დამოკიდებულება ვიქონიე. ჩემ მიერ მათში შემჩნეული არაჩვეულებრივი გმირობისა და თან გაწირულების ღირსებები, აუცილებლად სათურქეთს მიზანს მიაღწევინებინებს და რაც მათი წარმომადგენლების სახით მათ ერს მივესალმები და კვლავ ამ დღესასწაულს, ამავე დროს თურქის ერის შეუდარებელი ღირსებასაც საქვეყნოთ ვაღიარებო".

ელჩების სიტყვების შემდეგ დიდი ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ედნან ბეგმა სთქვა შემდეგი":

„ სათურქეთის ასეთ მნიშვნელოვან დღეს, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ და პირველ წყებაში მყოფ ამხანაგებთან, დღევანდელი ბანკეტის მიზეზით, ბატონი არალოვის მიერ ჩემდამი რამდენიმე სიტყვის თქმის საშუალებისა ბოძებისათვის დიდი მადლობელი ვარ.

რა კი 23-ში ივლისის შესახებ თვითონ განმარტება მისცა, ჩემ მიერ დამატებას საჭიროდ არა ვცნობ. დღევანდელი დღე სათურქეთის ისტორიაში რევოლიუციის დიდებული დღე არის. სამწუხაროდ ისტორია, რა კი ერთა ნებასურვილების მიხედვით არ მოქმედობს, ჩვენც იმ თარიღიდან მრავალი ეჭვდური რება განვიცადეთ. ბოლოს მსოფლიო ომის დროს დასავლეთიდან გადმოხეთქილმა ნიაღვარმა მშვენიერი მამულ-დედულები რომ ხელთ გამოგვაცალა, თავის დამოუკიდებლობას დაკარგვისაც სრულიად წარმოუდგენელმა ერმაა თვისი მრავალი მიწა-წყლის, მშვენიერი სატახტო ქალაქის, სტამბოლის მტრის მიერ დაპყრობაც დაინახა. ამ უბედურობას შედეგად ერმა ანატოლიაში თავის დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლა იწყო. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ვლაპარაკობთ. მაგრამ ამასაც განმარტავ რომ სათურქეთს არასოდეს თვისი დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს. ჩვენი ბრძოლა მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებლობის ჩვენგან წაართმევად გამომლაშქრებლების წინააღმდეგ არის მიმართული. ამ ბრძოლაში მარტონი ვიყავით. დასავლეთიდან მტრული იერიშები მიდიოდა. მაგრამ აღმოსავლეთი კი ასე არ იყო. რუსეთის საბჭოთა ფედერატიულმა მთავრობამ პირველად დიდი ეროვნული საბჭოს მთავრობა იცნო და დაამტკიცა. და ცნობილი მეგობრული დამოკიდებულების ხელშეკრულება შევკარით.

ბატონი არალოვის მიერ აღნიშნული ჩვენ შორის არსებული ურთი-ერთობა ნდობისა და კეთილ განწყობილებას სავსებით ვიზიარებ. მომხდარი და მოსახდენი კონფერენციები, ჩვენ შორის არსებული ურყევ სიწრფელეს, რომ ჩრდილიც ვერ უნდა მიეფინოს. (კვერი) ამხანაგ არალოვსა და სხვა ელჩებს მათ მიერ გამოცხადებული მხურვალე და რწფელი სიტყვებისათვის დიდი ეროვნული საბჭოს და მთელი სათურქეთის ხალხის სახელით მადლობას მოვახსენებო ამხანაგმა არალოვმა, დარწმუნებული ვარ აუცილებლად თურქები გაიმარჯვებენო სთქვეს. და თურქებსაც, რომ გაიმარჯვებენ ამაში სრულიად ეჭვი არა აქვსთ.

ამ ბრძოლაში აუცილებლად გამარჯვებით ჩვენს მიზანს უნდა მივაღწიოთ. და ვინაიდან ბატონმა არალოვმა, თურქები ბრძოლაში მარტო არ არიანო სთქვეს. დიახ, ჩვენ მარტონი რომ არა ვართ ამას ვგრძნობთ. თურქების ბრძოლა უფლებისათვის არის. თქმა არ უნდა უფლებისათვის ბრძოლაში მრავალი ერი ჩვენთან ერთად არის.

რუსეთი, ავღანისტანი, სპარსეთი და ადერბეიჯანი ჩვენთან ერთად იმყოფებიან- ჩვენ როცა დასავლეთთან ბრძოლის პირველი წყებაში ვიმყოფებით, და ჩვენი ზურგით ამ დიდებული ერებსაც ჩვენთან ერთად დავინახავთ გამარჯვება მოგვემატება და რწმენა გაგვიძლიერდება. ბატონი არალოვისა და სხვა ელჩების მიერ ჩვენდამი გამოთქმული გულწრფელი სიტყვებსა და მხურვალე თანაგრძნობისათვის კვლავ მადლობას მოვახსენებ და სიტყვასაც დავაბოლოებო.

ამ ოფიციალური სიტყვების შემდეგ, ალა გუნდუზ ბეგმა იაგავ-არაკებით დაიწყო ლაპარაკი, რისთვისაც რამდენჯერ-

მე იქმნა დაჯილდოებული ტაშის ცემით. ეს იგივე, ეგვიპტელი პოეტი იბრაჰიმ ბეგის მიერ ეგვიპტის მიწაზე ნანახი და ლექსით აღწერილი დაბერებული ლომის თავგადასავალს მოგვითხრობდა.

დაბერებული ლომი, რამდენჯერმე, მონადირე ძაღლებისათვის დაუკმინებიათ, მოუთმენია, ბოლოს ერთი კლანჭებისა დაკვრით ძაღლის თავი დაუსრესია... ჩვენზე შემოსეული მტრები ამ ძაღლის თანამგზავს და სახელოვანი თურქის ჯარის მიერაც, ამ მოკლე ხანში იმ ძალლივით თავი მოსვრესაც იქმნება კიდეეცო სთქვა.

დასასრულ მოწვეულები რწმენის გრძნობებით შეპყრობილნი გამოემშვიდობნენ მასპინძლის და ნელნელა გაუდგნენ თავიანთ სახლის გზას.

# მუშათა წერილები

### პირველი ნაბიჯი

სადგური მცხეთის მახლობლად, ტყის პირას, იქ, სადაც არის აღმართული სიმბოლო ჩაგრული ხალხის თავისუფლებისა მუშათა სისხლში ამოვლებული წითელი დროშები—აი ამ დროშებზე წარწერები გვაუწყებენ, რომ „აქ არის დასასვენებელი სახლი პროფკავშირის წევრებისა... ე. ი. მუშათა საზაფხულო აგარაკები, ამ მუშათა აგარაკებზე ჩვენს გაზეთებში გაკვრით მისი არსებობა ხრონიკული ხასიათის წერილებით იყო აღნიშნული და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დიდ მნიშვნელოვან კომუნალურ დაწესებულებაზე ბევრს ჩვენს ამხანაგებს, გარდა იმათი, რომელნიც უკვე გამომდინარეობდენ ამ აგარაკებში, რასაკვირველია ნათელი წარმოდგენა არ ექნებათ და ამიტომ ჩვენ ჟალაგოთ არ მიგვაჩნია გაზეთის ფურცლებზე ვესაუბროთ მუშა-ამხანაგებს იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც არა თუ მარტო ჩემზე, არამედ ყოველ იქ მისულ მუშებზე მოახდინა.

ბევრს ჩვენს მუშა-ამხანაგებს ალბად ეგონებათ, რომ მუშათა აგარაკები იმითი არის კარგი, რომ იქ ეკონომიურად გადატაკებულ მშიერ მუშებს მხოლოდ და მხოლოდ კარგად „აჭმევენ-ასმევენ" და მეტი არაფერი. ვინც მარტო „კვების" თვალსაზრისით მიუდგება მუშათა დასასვენებელ სახლების დაარსებას და პრინციპის დიდ მნიშვნელობას, ის მუშა რასაკვირველია დიდ შეცდომაში იქნება შესული და ვერას დროს ვერ გამოვა გამარჯვებული იმ ეკონომიურ სიდუხჭირიდან, რომელშიაც იყო ერთ დროს და არის დღესაც.

რაც შეიძლება ზედმიწევნით უნდა შევიგნოთ. რომ მუშათა დასასვენებელ სახლებზე ჩვენ არა გვქონდეს ყალბი, ე. ი. „ქველმოქმედური" წარმოდგენა და შეხედულება.

„მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა!" და ამ შემთხვევაში ლოდიკურია, რომ მუშათა დასასვენებელი სახლებიც ადორძინებულია პროფკავშირების ინიციატივაზე.

და მართლაც, ვინ უნდა ზრუნავდეს მუშათა კლასის კეთილდღეობაზე, თუ არა იგივე მუშათა ორგანიზაცია—პროფკავშირების სახით? დიახ, ეს ასე უნდა იყოს და ჩვენ სინამდვილეში სწორედ ასედაც ვხედავთ.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა განიდევნოს საბჭოთა რესპუბლიკებიდან მდიდართა კლასის მიერ ღარიბ ხალხისადმი ვითომდა ქველმოქმედური, მაგრამ ნამდვილად თაღლითური „მოწყალების" გაღება. ამერიკელების ბურჟუაზიულმა კომიტეტებმა კი არ უნდა აგრძნობინოს გულისტკივილი ჩვენი ქვეყნის მშრომელ ხალხს, არამედ მისმა ავანგარდმა—პროფკავშირებმა.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და საფუძველი მუშათა კლასის ერთი მნიშვნელოვანი საქმისა ჩაყრილია ძველ დედა ქალაქ მცხეთის მიდამოებში.

რამდენადაც პატარაა ახლად დაარსებული მუშათა დასასვენებელი სახლები, ათჯერ დიდია მისი მომავალი და შინაარსი. მას სულ სამი თვის ისტორია აქვს, დაარსებულია 1922 წ.. მაისის 28 და ამ პატარა დროში ეტყობა დიდი წარმატება. ორგანიზაცია დასასვენებელი სახლისა კარგად არის მოწყობილი. ამ ჟამად მოთავსებულია შიგ დაახლოვებით 80 მუშა-მოსამსახურე. პროცენტალურად უპირატესობა აქვთ. სტამბის, ლითონის და თუთუნის ქარხნის მუშებს და ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან ყველამ იცის, რომ ზემოხსენებული მუშები არიან უმეტეს ნაწილად, რომელნიც მთელი წლობით ქარხნის მოწამლულ ატმოსფერით იწამლებიან და ამ პროფესიებში შენიშნულია და მძვინვარებს კიდეც ტუბერკულიოზი, განსაკუთრებით სტამბებში.

მუშები ორივე სქესისა მოთავსებული არიან სუფთა და ჰიგიენურად დაცულ ოთახებში. კვება მუშებისა ხდება მუშათა შორის ამორჩეულ საკონტროლო კომისიის განკარგულებისა და მათივე მეთვალყურეობით. დილის საუზმე და ჩაი ეძლევათ 8 საათზე, სადილი ნაშუადღევის 3 საათზე და ვახშამი საღამოს 8 საათზე. ყველაფერი ეს ხდება არა სეპარატიულად, არამედ ერთ დროს, ზარის დაკვრის სიგნალით. დაირეკება ზარი და თქვენს თვალ წინ იშლება არ ნახული სურათი: ტყიდან გამოიშლებიან გაზეთებით და წიგნებით ხელში შვებას მიცემული მუშები და იყრიან თავს გამზადებულ სასადილოს გარშემო. სადილი რძის გამონაკლისით ეძლევად განუსაზღვრელად და მზადდება საუკეთესო პროდუქტებისაგან. სახლებს ჰყავს საუკეთესო მზარეულები და მთელი შტატი მოსამსახურეებისა; არის ექიმი, სამკითხველო, გიმნასტიური საქანელა და სხვა. პერიოდული გამოცემები, მოდის „კომუნისტი", „პრავდა გრუზია", „ტრიბუნა", „ზარია ვოსტოკა", „მუშა", ჟურნალი „ხათაბალა", „კარმირ ასტღი" და მრავალი სხვა. სამკითხველოს და ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას განაგებენ მუშათა შორის ამორჩეული ამხანაგები. დილის საუზმის, სადილის და ვახშმის შემდეგ მთელი მუშები სიმღერებით კვლავ ტყეებში იფანტებიან და ცივ წყაროებთან ატარებენ დროს, ხოლო ღამის 11 საათზე, ე. ი. ზარის დაკვრის შემდეგ ყველა თავის ბინაზე იყრის თავს და ეძლევიან ძილს. ასეთია მოკლედ მუშათა დასასვენებელი ახლად მოწყობილი სახლების მდგომარეობა და ყველაფერი ეს ჩვენ კი არ გვიკვირს, არამედ ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის პირველი ნაბიჯი ახლად გამარჯვებულ მუშათა კლასის მოპოვებულ ძალა-უფლებისა. ასეთივე დასასვენებელი სახლები გახსნა აგრეთვე რკინის გზის პროფკავშირმაც. და ყველა ეს მოწყალება კი არ არის, არამედ იგი კეთდება მუშების საკუთარი ხელებით, მისი ინიციატივით. მშრომელი ხალხი თავის კეთილდღეობისთვის დღეს თვითონ ზრუნავს და ამ მუშათა კეთილდღეობის წინეთ არ იზიარებდა და გადაფთრებით ებრძოდა ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ბურჟუაზია და ეს ბურჟუაზია ფიქრობდა მხოლოდ და მხოლოდ თავის თავის „დასვენებაზე" მ თს განკარგულებაში იყო მთელი რესპუბლიკის საუკეთესო აგარაკები, კურორტები და მთელი მინერალური წყლები და ასეთ მდგომარეობაში მყოფი განცხრომის ძენი ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, თუ სადღაც ბნელ ჯურღმულებში წლითწლობამდე იტანჯებოდნენ ადამიანები, რომელნიც გაჩენილიყვნენ ვითომდა მხოლოდ იმიტომ, რომ უზომო შრომით ესიამოვნებინათ პარაზიტების ხროვა, ეს იყო წინეთ... დადგა მომენტი, მუშათა კლასმა გაწყვიტა თავისუფლების შემბორკავი ჯაჭვები,—პროლეტარიატმა სისხლით და ბრძოლით მოიპოვა ყველაფერი ის, რითაც ის დღეს სარგებლობს და ჩვენ ვამბობთ, რომ მუშა ხალხი ჯერ-ჯერობით ვერაფრით ვერა სარგებლობს და ის, რაც დღესა ჰყავს, არის მხოლოდ წვეთი ზღვაში ჩვენი მოთხოვნილებისა. ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი და ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მუშათა კლასი ამ ნაბიჯის ფარგლებს არ გასცილდება, მაშინ ამაოა ყველაფერი და დღევანდელი დასასვენებელი სახლები თავის ვიწრო საზღვრებით იქნება მხოლოდ თავის მოტყუება და თვალების ახმა.

ჩვენ ვისურვებთ, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ, როგორც პასუხისმგებელმა ორგანომ მუშათა კლასის წინაშე—გამოიჩინოს დიდი ენერგიანობა, ელვის სისწრაფით წასწიოს წინ და პირველი ნაბიჯით დაწყებული დიდი საქმე გამარჯვებით დააგვირგვინოს.

მუშათა დასასვენებელი სახლები უნდა გაიზარდოს ათჯერ მეტად, ვიდრე ის დღეს არის, იმიტომ, რომ ამას მოითხოვს ფართო მასის ჯანმრთელობის და სიცოცხლის ინტერესი.

ერთი მთავარი ნაკლი, რომელიც შენიშნულია დასასვენებელ სახლში, არის სამკითხველო.

სამკითხველოს აქვს წმინდა რუსული ნაციონალური სახე და შინაარსი. არც ერთი წიგნი, არც ერთი ბროშურა როგორც ქართული, ისე სომხური გარდა რუსულისა ხსენებულ სამკითხველოში არ მოიპოვება და ეს მაშინ, როდესაც მოთხოვნილება საკმარისად დიდია. ჩვენ მხოლოდ ის გვაკვირვებს, რომ ყველაფერი ეს მოწყობილია და ხდება იმ ქვეყანაში, სადაც „ნაციონალიზმი" სასტიკად დაგმობილი და დევნილი უნდა იყოს.

სამკითხველოს რომ მიეცეს სათანადო ხასიათი, ამიტომ საჭიროა, აუცილებლად შეძენილ იქნეს როგორც ქართული, აგრეთვე სომხური წიგნებიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და მაშინ, როდესაც ჩვენ ვაშენებთ ახალ ცხოვრებას ახალი კულტურით,—ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ქართული ენის და ქართული ლიტერატურის გარეშე ქართველი მუშის და გლეხის გაკულტუროსნება და მომზადება ახალი ცხოვრებისათვის. ჩვენს შეკითხვაზე დასასვენებელ სახლის გამგემ გვიპასუხა, რომ სამკითხველოს მოწყობის ინიციატივა არ ეკუთვნის პროფკავშირთა საბჭოს, ეს რუსული წიგნები შემთხვევით ჩაგვივარდა ხელშიო. დაუჯერებელი ამბავია, რომ ადამიანმა ამდვრეულ წყალში ერთი ჯიშის თევზები დაიჭიროს, მაგრამ ასეა თუ ისე, ჩვენ დეფექტის წინაშე ვსდგევართ და როგორც კავშირთა საბჭო, აგრეთვე დასასვენებელ სახლის გამგე მოვალენი არიან მიიღონ ზომები და პრესის საშვალებით მიმართონ დაწესებულებებს ქართულ-სომხურ წიგნების შემოწირულებისთვის და ვფიქრობთ, რომ გულშემატკივარნი აღმოჩნდებიან.

აუცილებლად უნდა მოგვარდეს აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე, გაზეთები არ მოდის სისტემატიურად, მუშები მას ღებულობენ 2—3 დღეში ერთხელ და ეს მაშინ, როდესაც მცხეთა ტფილისიდან ძალიან შორს არ არის და დასასვენებელი სახლიც მცხეთის სადგურის პირდაპირ მდებარეობს.

საერთოდ, წვრილმანი დეფექტების გარდა, მუშათა დასასვენებელი სახლი დამაკმაყოფილებელია, თქვენ ვერ მიჩვენებთ ისეთ მუშას, რომელიც იქიდან უკმაყოფილო არ დაბრუნებულიყოს.

ამიტომ მოვაგონებთ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, რომ ამ მუშათა დიდი საქმის ადორძინებისათვის გამოიჩინოს დიდი მუშაობა და მისი გაფართოვებით ხელი შეუწყოს მუშათა კლასის ჯანმრთელობის საქმეს.

ასოთ-ამწყობი დ. მელაშვილი.

მუშათა აგარაკი 18 აგვისტო.

# გ ე რ მ ა ნ ი ა დ ა ა ნ ტ ა ნ ტ ა

### ლონდონის წრეებში

კრაუდენი 18 აგვ. მიუხედავად საფრანგეთისა და ბელგიის პრესის განცხადებისა, ლონდონის ოფიციალურ წრეებში გერმანიის ტყეებსა და ბუნებრივ სიმდიდრეზე კონტროლის დაწესების საკითხი, მიაჩნიათ ძლიერ დიდ მნიშვნელოვან საკითხად. ამ კონტროლის დაწესებას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს გერმანიის მთავრობის განმტკიცების საქმეს. საფრანგეთის პოლიტიკას შეუძლია უფრო გაამწვავოს განხეთქილება ბავარიისა და ბერლინის მთავრობის შორის რასაც ადვილად შესაძლებელია ამ უკანასკნელის გადადგომა მოჰყვეს.

### საკონტრიბუციო კომისიაში

ბორდო 18 აგვ. საკონტრიბუციო კომისია შეუდგა იმ პასუხის ტექსტის შემუშავებას, რომელიც უნდა გაეგზავნოს გერმანიას, მის მიერ მორატორიუმის მიცემის შესახებ აღძრულ შუამდგომლობაზე. დელეგატებს სურვილი აქვთ გამონახონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც შეეძლია შეათანხმოს მოკავშირენი. გადაწყვეტილებას მიიღებენ მომავალ კვირაში. საკონტრიბუციო კომისიაში ინგლისელი დელეგატი ბრედბერი, რომელსაც უნდოდა გადადგომილიყო, კიდევ დარჩება კომისიის წევრად 30 ნოემბრამდე და კიდევ უფრო მეტხანსაც, თუკი მისი გადადგომა რაიმე დაბრკოლებას გამოიწვევს.

### საფრანგეთი არახფერს არ სთმობს

ბორდო 18 აგვ. საფრანგეთში ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო კომისია არ დაეთანხმება გარანტიების გარეშე მორატორიუმის მიცემას და რომ ბელგია მხარს დაუჭერს საფრანგეთის თვალსაზრისს, მაგრამ თუ კომისიის გადაწყვეტილებანი სხვაგვარი იქნება, საფრანგეთი მაშინ საკუთარ ზომებს მიმართავს.

### კანცლერ ვირტის განცხადება

ნაუენი 18 აგვ. უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში კანცლერ ვირტმა აღნიშნა გერმანიის მიერ კონტრიბუციის ნაღდ ფულად გადახდის შეუძლებლობა, ვინაიდან მარკის კურსი საშინლად არის დაცემული. ვირტმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მუქარისა და რეპრესიების პოლიტიკა სავსებით აქარწყლებს გერმანიის პროგრესიულ-დემოკრატიულ პარტიების პროგრამას, როდესაც მთელი ერი (გერმანიის) სიკვდილის წინაშე სდგას, ვირტი მიმართავს არა სენტიმენტალურ გრძნობებს სხვა ქვეყნებისას, არამედ მათ საღ გონიერებას, რომელნიც არ შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებულნი საერთო მშვიდობიანობის შენარჩუნებაში და 60 მილიონიანი ერის კეთილდღეობაში, რომელიც დღეს სასოწარკვეთილებაში არის ჩავარდნილი.

### ვირტი უარყოფს

ნაუენი 18 აგვ. უცხოელ ჟურნალისტებთან ბაასის დროს კანცლერ ვირტმა უარყო პუანკარეს ბრალდება. ვირტი კატეგორიულად უარყოფს იმ ხმებს თითქოს გერმანიას მიეცეს ჩეხო-სლოვაკიისათვის 4 მილ. მარკის (ოქროთი) სესხების წინადადება და თითქოს გერმანია ფინანსიურ დახმარებას უწევდეს დანიის, რუმინიის და ჰოლანდიის ბანკებს.

### შანცერის თეზისები

ბორდო 18 აგვ. რომისა და იტალიის პრესა ერთგვარად იწონებს შანცერის თეზისებს, რომელშიც იგი აერთებს კონტრიბუციო საკითხს საკავშირო და საერთაშორისო ვალების საკითხს.

### ინგლისისა და საფრანგეთის კონტაქტი

ბორდო 18 აგვ. გაზეთ „იდეა ნაციონალის" აზრით, პასუხისმგებლობა ლონდონის თათბირის მარცხის შესახებ ეკისრება ინგლისს მომავლისათვის საფრანგეთისა და იტალიის შორის მყარდება ინტერესთა ერთი და იგივეობა, რომელიც მდგომარეობს ინგლისისათვის გაწევაში, რომელსაც სურს გერმანიის ვალდებულებათა შემცირება მანამდის, სანამ არ იქნება გამორკვეული საკითხი საკავშირო ვალების შესახებ გაზ. ჯორნალე დ'იტალია" სწერს: „შესაძლებელია დაინტერესდეთ დამარცხებულთა მდგომარეობით, მაგრამ სავსებით გაუგებარია ის, თუ რატომ უნდა უყურებდეთ გულგრილად გამარჯვებულთა ფინანსიურ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც ანგარიში აუცილებლად უნდა გაუწიოთ, თუ კი გვსურს ევროპის აღორძინება".

### ბურჟუაზიის უმეცრება

ბორდო. 18 აგვისტო ბურჟუაზიული პრესა შემდეგ ნაირად აფასებს არსებულ მდგომარეობას.

— გაზ. „ნიუ იორკ გერალდი" ამბობს რომ ლონდონის თათბირის მარცხი კიდევ უფრო აამწვავებს იმ სისულელეს, რომელიც ჩაიდინა ინგლისმა ბალფურის ნოტით, რაიც არღვევს საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმებას და ქმნის მომავლისათვის ახალ საბაბს უნდობლობისა და უთანხმოებისათვის.

— გაზ. ნიუ-იორკ-ტრიბუნი" კითხულობს სურს თუ არა ინგლისს აიძულოს გერმანია კონტრიბუციის გადახდა? გაზეთი შემდეგ ამბობს, რომ დადგა დრო, როდესაც ლლოიდ-ჯორჯმა თავი უნდა დაანებოს ძველ პოზიციას და აშკარად განაცხადოს თუ ვის მხარეზეა იგი.

— გაზ. „ტაიმსი" აცხადებს, რომ გერმანიის პოზიცია, მიუხედავად იმ მრავალი დათმობისა, რომელიც მას გაუკეთეს, მაინც იწვევს ეჭვს—მისი პოლიტიკის გულწრფელობაში გაზეთი ამბობს, რომ ფრანგებმა კარგათ გაიგეს გერმანელების პსიხოლოგია და იციან თუ როგორ ახერხებს გერმანია ისეთი პოზიციის დაჭერას, თითქოს მას გულწრფელად სურდეს კონტრიბუციის გადახდა.

### საკონტრიბუციო საკითხი

ნაუენი 20 აგვ. გაზეთ „ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ საკონტრიბუციო კომისიასთან ახლო მდგომ წრეებში, გადაწყვეტილი აქვთ მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა გამოვიდენ იმ გაურკვეველ მდგომარეობიდან, რომელშიც ჩავარდნილია ნტრიბუციო საკითხი. ... წინადადება ახალი საერთაშორისო ... ზედაც შეიძლება მიწვეულ იქნენ გერმანია და შეერთებული შტატები, კვირეულია, გერმანიის მონაწილე წარმოადგენს ერთგვარ ინტერეს, მხედველობაში მივიღებთ იმ გარემო ბას, რომ სურთ საერთო ყველასათ მისაღები დადგენილება გამოიტანონ საკითხის შესახებ.

პარიზიდან მიღებული უკანასკნ ცნობების თანახმად, საკონტრიბუ კომისიას განზრახვა აქვს გაგზავნოს ბერლინში დელეგაცია რამდენიმე წევრისაგან შემდგარი, რათა შევ გერმანიასთან უშუალო კონტაქტში პრაქტიკულ გარანტიების განსახილვე და გერმანიის მხრივ პროდუქციულ რუნვეელყოფებათა გამოსანახავათ, რის მაგიერათაც მას მორატორიუმი მიეც

— ბრიტანეთის მთავრობამ, ყვ მოკავშირე მთავრობათა სახელით გ ზავნა პასუხი გერმანიას მის უკანასკ ნოტაზე, რომელშიაც იგი აცხად რომ მოკავშირეთა მთავრობებს გახ ხვა აქვთ მოსთხოვონ გერმანიას 2 გირ. სტერ. გადახდა, რომელიც გ დილი უნდა ყოფილიყო 15 აგვის თვეს—ან ერთი თვის შემდეგ, ე. ი. სექტემბერს.

— ჰამბურგში წარმოთქმულ სიტყ პრეზიდენტ ებერტმა იმედი გამოსთ რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობ სახელმწიფონი არ დაუშვებენ, რომ დიდ ერს, როგორც გერმანიაა, წაა ვან არსებობის საშვალება მაშინ, დესაც იარსებებს პოლიტიკური, ეკო მიური, პირადი და თვითგამორკვ უფლებების მინიმუმი.

ბორდო 20 აგვ. პოლიტიკური მდ მარეობის განხილვის შემდეგ, საკონ რიბუციო კომისიამ დაადგინა სთხ ბრიტანეთის დელეგატს ბრედბერს გარანტიების კომისიის თავმჯდომა მაკლერს გაემგზავრონ ბერლინში, მიიღონ გერმანიის მთავრობისაგან თანადო გარანტიები.

კრაუდენი 20 აგვ. ინგლისის უფ ფართო და ფართო წრეები იმ დამ ნამდის მიდიან, რომ ინგლისი და საფ რანგეთი შეერთებული გზით მიდიო როდესაც ქმნიდენ ისეთ პირობებს კონტრიბუციო კომისიისათვის, რო დროსაც საფრანგეთს არ შეუძლია კ ტრიბუციის მიღება, იქნეს უზრუნ ყოფილი ხიფათისაგან ბ იქნეს შესაძ ბლობა განადგურებულ ოლქების აღდ ნისა ამ ჟამად ინგლისის საზოგადოებ აზრს წარმოდგენილი აქვს მთელი ფერთხე წარსული პოლიტიკისა და ხე ვს აუცილებლობას იმისას, რომ და წმუნოს საფრანგეთი მისი პოლიტ შეცვლაში მაგრამ არც საფრანგე მთავრობასა და არც მის ორივე პა ტის არ შეუძლია გაიზიაროს ინგლ თვალსაზრისი. ისინი ანგარიშს არ უწ ვენ იმ გარემოებას, რომ ორივე სა ლმწიფოს ეს გზა აღორძინებამდის არ მიიყვანს, არამედ დაღუპვამდე.

# გერმანიის ამბები

### კენიგსბერგის ბაზრობა.

მოსკოვი. აგვისტოს 20 ს გერმან პრესა დიდ ყურადღებას აქცევს კენ ბერგში გახსნილ ბაზრობას. მთავრო რადლება მიქცეული აქვს რუსულ გ ყოფილებას. ბაზრობას გახსნაზე დაეს გერმანიის მთავრობის წარმომადგენ ბი მსხვილი სამრეწველოს მოღვაწ და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენ ბი. გერმანიის პრესა აღნიშნავს, ბაზრობის რუსული განყოფილება ახ გარდატეხას აღმოსავლეთ ევროპის ვაჭრო მოძრაობის ისტორიაში.

### სატელეგრაფო კონგრესი ბერლინ

ნაუენი. აგვისტოს 20-ს ბერლი რეიხსტაგის შენობაში, ტელეგრაფ ბის საერთაშორისო კონგრესის სას, სტატს-სეკრეტარი, ფონ-ბრე მიესალმა უცხოეთის სახელმწიფო 200 წარმომადგენელს და განაცხ რომ სამწუხაროდ გერმანიას არ ლია ზეიმით მიიღოს სტუმრები, განაც იგი ღარიბდა. ფონ-ბრე მოუწოდა სტუმრებს არ მოატყუონ ნი გარეგანმა მხარემ, რომელსაც ლია სინამდვილის დამალვა.

ფონ-ბრედოვი ქებით იხსენიებდა ლეგრაფს, როგორც მშვიდობიანობ დამამყარებელ საშუალებას და რ ლიც არის დედა-ბოძი დღევანდე პრესისა, რომელსაც შეუძლია შ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

# ლონდონის თათბირის შემდეგ

**სარეპარაციო საკითხი**

მოსკოვი. 20 აგვ. ინგლისის პრესა მხარს უჭერს გერმანიისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხს. გაზ. „დეილი ხრონიკლი" ფიქრობს, რომ სანამ მორატორიუმის საკითხი არ გადაწყვეტილა მარკის კურსი განაგრძობს დაცემას. გაზ. „ტაიმსი" ერთად ერთ გამოსავალს ხედავს საერთაშორისო დავალიანების საკითხის რადიკალურ გადაწყვეტაში, რამდენად შესაძლებელია ფართო საფუძვლებზე.

ლონდონიდან მიღებულ ცნობის თანახმად ბელგიას განზრახული აქვს ერთხელ კიდევ შეეცადოს მოკავშირეთა შორის შუამავლობას. ბელგიას შეუძლია მხარი დაუჭიროს გერმანიისათვის 6 თვის მორატორიუმის მინიჭების საკითხს იმ პირობით, რომ გერმანიამ ამ ვადისათვის მოახერხოს ფულის შოვნა საფრანგეთის სასწრაფო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტმა მოისმინა რა პუანკარეს ვრცელი მოხსენება ლონდონის მოლაპარაკების შესახებ, ერთხმად მოიწონა პუანკარეს პოზიცია. მორატორიუმის საკითხი გადაწყვეტილი იქნება ბელგიის თვალსაზრისის მიხედვით.

ბრიტანეთის ოფიციალურ წრეებში გაბატონებულია ის აზრი, რომ გერმანიის მადაროებზე და ტყის მრეწველობაზე კონტროლის დაწესების საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია. ლონდონის კონფერენციაზე ინგლისის დელეგაციის უარყოფითი დამოკიდებულება კონტროლისადმი ნაკარნახევია არსებითი მოსაზრებებით. ლონდონში აღნიშნავენ, რომ იმ ბუნებრივ სიმდიდრეზე შემოღებული კონტროლი, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, კიდევ უფრო მეტად შეარყევდა გერმანიის მთავრობის მდგომარეობას, იმ გერმანიის მთავრობისას, რომელსაც მიუნხენის და ბერლინის შორის მომხდარ კონფლიქტის შემდეგ შეუძლია დაეცეს. განსაკუთრებით მწუხარებას გამოსთქვამენ ლონდონში იმას, რომ პუანკარემ არ მიიღო ინგლისის უკანასკნელი წინადადებანი.

**პუანკარეს ჯიუტობა**

მოსკოვი. 20 აგვ. ლონდონის კონფერენციის სხდომების გამოქვეყნებულ ოქმებიდან სჩანს, რომ კონფერენციის დახურვა საჭირო შეიქმნა პუანკარეს ჯიუტობის გამო, რომელიც მოითხოვდა მსხვილ გარანტიებს.

# უცხოეთი

**რკინის გზის ტარიფი გადიდებულია.**

ჰანნოვერი 18 აგვისტო. ვინაიდგან ფასების აწევამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო, სახელმწიფო რკინის გზის სამმართველომ დაადგინა გაადიდოს 50 პროც. რკინის გზის ტარიფი.

**ებერტის გამგზავრება.**

ჰანნოვერი 18 აგვისტო. პრეზიდენტ ებერტს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად განზრახვა აქვს გაემგზავროს ქ. ჰამბურგში ეკონომიურ კონგრესზე.

**„ხაპატიო" ხტუმარი.**

ბერლინი 18 აგვისტო. 23 აგვისტოს გენერალი გინდენბურგი დაესწრება მიუნხენში ჯარების პარადს, რომელსაც მიიღებენ ნაციონალისტური ორგანიზაციები.

**ბავარიის შავრაზმელთა შორის.**

ბერლინი 18 აგვისტო. მიუნხენში, ლანდტაგის ნაციონალისტთა ფრაქციის კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბერლინში დადებული შეთანხმება მიუღებელია სახალხო პარტია ჯერ-ჯერობით თავის სიტყვას არ ამბობს. მემარჯვენე პარტიების მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ისინი მოითხოვენ უარი სთქვან ბერლინის შეთანხმებაზე გაზ. „ფორვერტსის" ცნობით, ლანდტაგის დათხოვნა აუცილებელია და მოახლოვებულიც.

**არ ხცხრესიან.**

ბერლინი 18 აგვისტო. მიუნხენში მოხდა შეთანხმება კოალიციონურ პარტიებს შორის ბერლინის შეთანხმების მიღების შეუძლებლობის თაობაზე, თუ მასში არ იქნება ზოგიერთი მუხლები დამატებული. ბავარიის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა გადასცეს სათანადო ნაბიჯები ბერლინის მთავრობის წინაშე, რაც შედეგია პოლიტიკური პარტიების შორის მომხდარი თათბირისა.

**ამერიკის სამედიცინო დახმარება.**

მოსკოვი 18 აგვისტო. „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს შეერთებულ შტატებში მყოფ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა მიხაილოვსკიმ განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ამერიკიდან ექიმ კავენოკისთან ერთად, როგორც ოფიციალური წარმომადგენლები რუსეთის სამედიცინო დახმარების ამერიკულ კომიტეტისა.

კომიტეტს განზრახული აქვს მოაწყოს თავის ხარჯზე დიდი საავადმყოფო 500 საწოლით. საავადმყოფო ყველა უმთავრესი სპეციალობებით, იქნება მოწყობილი მეცნიერების და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ამბულატორიული მკურნალობა უფასო იქნება.

ექიმმა მიხაილოვსკიმ გამოსთქვა სრული კმაყოფილება საბჭოთა დაწესებულებებში, რომელთაც გაუწიეს ყოველგვარი დახმარება კომიტეტს.

**მადაროს მუშათა შორის.**

მოსკოვი 20 აგვისტო. ლონდონიდან იტყობინებიან: მადაროს მუშათა ფედერაციის აღმასკომის წევრმა კუკმა გამოსთქვა მწუხარება იმ პოზიციის შესახებ, რომელიც დაიკავა მადაროს მუშათა ფრანკფურტის საერთაშორისო კონფერენციამ ამერიკელ მადაროს მუშათა გაფიცვის მიმართ, კუკი აღნიშნავს, რომ დადგენილებას ამერიკელ გაფიცულ მუშათათვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის შესახებ, არ შეუძლია მიზანს მიაღწიოს იმდენათ, რამდენათაც კვლავ გაგრძელდება ინგლისიდან ამერიკაში ნახშირის გაგზავნა.

**ირლანდიაში.**

მოსკოვი 20 აგვისტო. ირლანდიის მთავრობის ჯარებმა დაიკავეს კერის საგრაფო.

— პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ირლანდიის პრემიერმა კოლინსმა განაცხადა, რომ აჯანყებულთა მთავარი წინააღმდეგობა უკვე დათრგუნვილია. კოლინსი ფიქრობს, რომ ორი კვირის განმავლობაში სამხრეთ ირლანდიაში სამხედრო ოპერაციები სავსებით დამთავრდება.

— ირლანდიის აჯანყებულებმა დე-ვალერა გამოაცხადეს თავის მთავარ-სარდლათ. აჯანყებულები ემზადებიან დიდი საპროპაგანდო ომისათვის.

— დუბლინიდან მიღებული ოფიციალური ცნობების თანახმად, მთავრობის ჯარები სამხრეთით წინ მიიწევენ.

**სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშათა კონგრესი.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ვენაში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშათა საერთაშორისო კონგრესი. კონგრესს ესწრებიან ჰოლანდიის, გერმანიის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, დანიის, ინგლისის, შვეიცარიის, უნგრეთის, იტალიის, საფრანგეთის, შვეციისა და ავსტრიის წარმომადგენლები.

**ესერების პროცესის გამოძახილი.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ბერლინის ერთ-ერთ ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა მუშათა მრავალ-რიცხოვანი კრება, რომელსაც დაესწრო 10.000 კაცი. კრების მიზანი იყო სოლიდარობა გამოეცხადებინა ბერლინის მუშათა შეგნებული ნაწილისა, ესერების პროცესის შესახებ გამოტანილი განაჩენისათვის. კრებაზე მოლაპარაკე ორატორებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მეუმრავლესე სოციალისტებმა და დამოუკიდებლებმა ვერ გაბედეს რაიმე ზომების მიღება კრების ჩასაშლელად.

— ჰალეში აგრეთვე გაიმართა ასეთივე მრავალრიცხოვანი კრება მუშებისა.

**მობილიზაცია საბერძნეთში.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. საბერძნეთის მთავრობამ გამოაცხადა 1923 წ. გასაწვევთა მობილიზაცია.

**რიგის პროფ-კავშირებში.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. რიგაში მემარცხენე პროფესიონალისტების დევნა თანდათან ფართო ხასიათს ღებულობს. ლიბავაში პროფესიონალურ მოძრაობის ხელმძღვანელთა შორის მრავალი პირი დაატუსაღეს, რეპრესიების მიზანია არ მისცენ საშუალება პროფესიონალისტებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, პროფესიონალისტებმა ვერ მოახერხეს თავიანთი სიების წარდგენა, რადგანაც სიის წარმდგენები ყოველთვის დაატუსაღეს.

**შორეულ აღმოსავლეთში.**

**ზღვის სანაპიროს ევაკუაცია**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ჩიტადან იტყობინებიან: ტოკიოდან მიღებულ არაოფიციალური ცნობების თანახმად, ზღვის სანაპიროს ევაკუაცია დაიწყება 20 აგვისტოს იაპონიის პრეზიდენტები სტოვებენ ნიკოლსკ-უსურიისკს.

**ახალი პრეტენზია.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ზემო სილეზიის პოლონეთის სანაპირო კომისარმა წამოაყენა შეიდი რიგი ახალ მოთხოვნილებათა, რომლის თანახმად პოლონეთს უნდა შეუერთდეს ზემო სილეზიის ტერიტორიის ახალი ნაწილი. ეს მოთხოვნილებანი გერმანიისათვის სავსებით მიუღებელია.

**პროფინტერნის მოწოდება.**

მოსკოვი. 20 აგვისტო პროფინტერმა მიმართა არგენტინის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია ის მნიშვნელობა, რომელიც ქონდა არგენტინის მუშაობის პროფესიონალურ კავშირების გაერთიანებას არგენტინაში. მოწოდება მოუწოდებს არგენტინას პროფკავშირების გაერთიანებას მიიღოს მონაწილეობა პროფინტერნის კონგრესში.

**ლატვია და რუსეთი**

მოსკოვი. 20 აგვისტო. 10 აგვისტოს მოსკოვში გამართულ მუშათა დემონსტრაციის შემდეგ კურინის სიკვდილით დასჯის გამო, ლატვიის ელჩმა ფელდმანმა გადასცა საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა სახ. კომისარს პროტესტის ნოტა. ამხ. გონეცკიმ უპასუხა, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება სავსებით გასაგებია, როდესაც საქმე შეეხება პოლიტიკური პატიმარის სიკვდილით დასჯას, ლატვიის გარეშე საქმეთა სამინისტროს რწმუნების შემდეგ, რომ განაჩენი არ იქნება მოყვანილი სისრულეში. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი რამოდენიმე დღით ადრე შეთანხმების ხელმოწერამდე, პატიმართა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. ამასთანავე სიატი შენახილი იყო აგრეთვე პურინიც ლატვიის მთავრობის მიერ თავის დაპირებათა ლოიალურ შესრულება და პოლიტიკურ პატიმართა სიკვდილით დასჯის შეწყვეტა დაამშვიდებს რუსეთის საზოგადოებრივ აზრს.

**ელექტრიკების გამგზავრება.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ნორვეგიის ელექტრიკების კავშირმა გამოუგზავნა სრულიად რუსეთის მელითონეთა კავშირს მოწვევა ნორვეგიის ელექტრიკების კავშირის მომავალ ყრილობაზე.

**ლონდონის თათბირის შემდეგ.**

**ინგლისი და საფრანგეთი.**

მოსკოვი. 20 აგვისტო. ლონდონის გაზეთები ფიქრობენ, რომ სარეპარაციო კომისია მხარს დაუჭერს გერმანიის მორატორიუმს. თუ საფრანგეთი ამ შეთხვევაში არ დაემორჩილა, ეს ფაქტიურად იქნება ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება. გაზ. „მორნინგი პოსტი" ჩივის, რომ ვერსალის ხელშეკრულება სულს დაფავს, მაშინ როდესაც რაპალოს ხელშეკრულება რჩება ძალაში, გაზეთი მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებმა და გერმანელებმა მოახერხეს საფრანგეთის და ინგლისის გათიშვა. საფრანგეთის ოფიციოზი „ტანი", ემუქრება ინგლისს, მის წინააღმდეგ კონტინენტალურ ბლოკის შექმნით.

**ეგვიპტეში.**

ნაუენი, 20 აგვისტო. ნაციონალისტური წრეები ეგვიპტეში ძლიერ აღელვებული არიან მით, რომ ეგვიპტის ნაციონალისტური კომიტეტის 7 წევრი დატუსაღებულ იქნა. მთავრობამ მიიღო ღონისძიება წესიერების დასაცავად.

**ლონდონის კონფერენცია და ბელგია.**

ბერლინი. 20 აგვ. ბელგიის მინისტრთა საბჭომ მოიწონა ბელგიის დელეგაციის პოზიცია ლონდონის კონფერენციაზე.

**გაფიცვა პორტუგალიაში**

ბერლინი. 20 აგვ. საერთო გაფიცვა ლისაბონში დამთავრდა.

**ბავარიაში**

ბერლინი. 20 აგვ. ბავარიის პოლიტიკურ წრეებში მოელიან ან „სამინისტრო კრიზისს ან ლანდტაგის დათხოვნას, მეუმრავლესეთა ჯგუფის მტრულ პოზიციის გამო საიმპერიო მთავრობისადმი კომპრომისის მიმართ. გაზ. „გერმანია" ამის შესახებ სწერს: „ხერხი, რომლის საშუალებით ბავარიის რეაქციონური ელემენტები ფიქრობენ გერმანიის გაპირავებულ მდგომარეობის გამოყენებას, იწვევს ყველა გერმანელთა გულისწყრომას.

ბერლინის გაზეთების ცნობით, გრ. ლერხენფელდმა უარი განაცხადა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ბერლინში ხელმეორედ გამგზავრების შესახებ.

„დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ"-ში სწერს, რომ ცნობილი ბრძანება ბავარიის მთავრობისა, რომელიც უნდა გაეუქმებინათ ისევ ძალაში რჩება. ბავარია ამგვარად არღვევს ბერლინში დადებულ ხელშეკრულებას. მემარცხენე და მთავრობის პრესა სასტიკად გმობს ბავარიის კოალიციონურ პარტიების პოზიციას,

**უნგრეთში.**

ბერლინი 20 აგვისტო. გრ. ბეტლენმა წარუდგინა მოკავშირეებს მემორანდუმი, რომელშიაც შუამდგომლობს უნგრეთის ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

— „ჟურნალ დე დებას" ცნობით უნგრეთის მთავრობამ გაიწვია 6 თვით 3 უკანასკნელი ჰასაკის თაობა, რომელიც მობილიზაციისათვის გამოსადეგია. გაწვევის მიზანია ქვეყნის შინაგანი წესრიგის დაცვა.

— ბუდაპეშტში გაფიცულია 30,000 მეტალურგიის მუშა.

— უნგრეთის ჯარების მანევრების დროს, წამლით სავსე ყუთში შემთხვევით ჩავარდა ასაფეთქებელი მასალა. აფეთქების დროს მოკლულია 5 ოფიცერი და 3 ჯარისკაცი.

**ისპანიაში.**

ბერლინი 20 აგვისტო. ფოსტის მოსამსახურეთა ახალ გაფიცვის გამო, მადრიდში დაითხოვეს ფოსტა-ტელეგრაფის პერსონალი და შემოიღეს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების რეორგანიზაციის წესი.

**ტ უ ნ ი ს ი**

რომი. 20 აგვ. საფრანგეთის მთავრობამ უარყო ტუნისში უცხოელთა ნატურალიზაციის საკითხის საარბიტრაჟო კომისიისათვის გადაცემა. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა მიმართოს ამ საკითხის შესახებ ერთა ლიგას.

# რუსეთი

**ჰააგის კონფერენციის გამოძახილი.**

მოსკოვი. აგვისტოს 20 ს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატმა მიიღო ბრიტანეთის მთავრობისაგან შეკითხვის ნოტა: ეხება თუ არა მხოლოდ საბჭოთა რუსეთს თუ აგრეთვე უკრაინასაც და დანარჩენ ფედერატიულ რესპუბლიკებს ლიტვინოვის წინადადება, რომელიც მან წარმოადგინა ჰააგაში იმის შესახებ, რომ თუ სხვა დელეგატები ჰააგაში თანახმანი არიან გადასცენ ეს წინადადება თავიანთ მთავრობებს, მაშინ რუსეთის დელეგაცია დაუყოვნებლივ გაუგზავნის რუსეთის მთავრობას შეკითხვას, მზად არის თუ არა რუსეთის მთავრობა იცნოს უცხოელების ვალები, და მისცეს უცხოელებს კომპენსაცია საკუთრების ნაციონალიზაციისათვის.

გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილე კარახანმა უპასუხა ინგლისს ნოტათი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის წინადადება უარყოფილ იქნა არა რუსული კომისიის მიერ, ამიტომ რუსეთის მთავრობა ამ წინადადებას სთვლის არ არსებულად. რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის უფლებებს, კარახანი აღნიშნავს თავის ნოტაში, რომ რუსეთის დელეგაციას ქონდა რწმუნება რუსეთის მოკავშირე ყველა რესპუბლიკებისა.

# ახალი ამბები

— **ბორჯომში და აბასთუმანში.** სამკურნალო სეზონი თავდება ენკენისთვის 5-დან.

— **ოკულისთა რაზმი,** რომელიც შეადგინა სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ ეხლახან დაბრუნდა ქ. ქიათურიდან. რაზმს ხელმძღვანელობს ექ. ვახტანგ მუსხელიშვილი. რაზმის შესადგენად საშუალება მისცა შავი ქვის მრეწველთა საბჭომ. ქიათურაში არის ჩინებულად მოწყობილი საავადმყოფო ქირურგიული და ტერაპევტიული განყოფილებებით მაგრამ არ არის არც ოკულისტი, არც თვალის კაბინეტი. თვალის ავადმყოფობა კი ძლიერ ხშირია. რაზმი მუშაობდა მთელ თვეს და უწევდა როგორც ქირურგიულ; ისე ამბულატორულ დახმარებას და ამავე დროს იკვლევდა დაავადმყოფების მიზეზებს. განზრახულია შემოდგომაზედ ასეთივე რაზმი გაგზავნონ ტყიბულში.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ დაკარგე მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტიდან მოცემული ნიკოლოზ ჩაჩავას სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# სამხატვრო ქრონიკა

— ოთხშაბათს 23 აგვისტოს ც. წ. ა. კ. ყოფ. ქართულ კლუბში გამართულ იქნება ფრიად საინტერესო „ფანტასტიური საღამო მხატვრებისა".

# პროვინციის ცხოვრება

**პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა**

რევოლიუციონური კომიტეტების აპარატიდან საბჭოთა სისტემაზე გადასვლის შემდეგ, საქართველოს შინაგანი ძალთა ურთიერთობა შეიცვალა. ეს შეცვლა თვალსაჩინოდ ხასიათდება იმ გარემოებით, რომ ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომელიც კომუნისტური ხელისუფლების დამყარების დღეებში ამ სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სისტემის ანტაგონისტურ განწყობილებაში იმყოფებოდა, სამართლიანად გადიხარა საბჭოთა სისტემის რეალურად მიღებისაკენ. ეს ტენდენცია თვალსაჩინოდ ემჩნევა საქართველოს პერიფერიებს. თუ რამდენიმე ხნის წინად სოფლელი გლეხი აშკარად გაურბოდა „კანცელიარიაში ჩასვლას" დღეს კი იგი თავის თემის საბჭოს „აღმასკომში" უცქერის ისეთ ძალას, რომელიც ამყარებს ამ გლეხის ნებისა და სურვილების ბატონობის სისტემას და სახელმწიფოს მართველ ორგანოებში იგი პოულობს თავისი სოციალეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების დამცველს.

ამ მოვლენას თავისი გასამართლებელი არგუმენტები აუცილებლად მოეპოვება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვენ იგი არ უნდა ვეძებოთ და ვერც ვპოვებთ ქაღალდზე დაწერილი მოწოდებებში, თუ კომუნისტური პრესის მარტოოდენ ლიტონ სიტყვებში, არამედ ამ სიტყვებისა და მოწოდებების რეალურად ქცევის ფაქტში ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ მშრომელი ხალხის დაჯერება ძნელია მარტო ტრიბუნიდან, სალექციო კათედრებიდან და სხვა მზგავსი საშუალებებით, არამედ მის დარწმუნებას და საქმისადმი ღრმა დაკვირვებას გამოიწვევს მხოლოდ და მარტო ცოცხალი სინამდვილე, კონკრეტი ფაქტი. და რამდენადაც არსებული ხელისუფლება თავის დაპირებას რაოდენადმე მაინც ასრულებს, თავის სიტყვას რეალ ხორცსხმას უძებნის, იმდენადვე შესაძლებელია ქართველი მასების დაჯერება, გულის მოგება და მათი სიმპატიის მოპოება.

და სწორედ სახელმწიფოს მოღვაწეების ამ წლინახევრის პრაქტიკამ ქართველი მშრომელი დაარწმუნა იმაში, რომ ეს ხალხი, საიდანაც და რა გზითაც არ უნდა იყოს იგი მოვლენილი, მოქმედობს მშრომელთა

ქეთილდღეობის მიზნით და მათი მოქმედების კრიტერია ქართველი ხალხის ინტერესების პრიზმით განიზომება, დღეს უკვე აღარ აქვთ ადგილი სოფლად იმ ცრუ პროვოკატორებს და ინსინუაციებს, რომელნიც რამოდენიმე ხნის წინედ სცდილობდნენ ქართველი ხალხის ამბოხებით წყლის ამღვრევას და „დაკარგული სამოთხის“ აღდგენისათვის ცდას. ყოველივე ასეთ გამოსვლებს დღევანდელი სოფლელი გვერდს შეაქცევს ხოლმე და ამით კი უსპობს საბჭოთა სისტემის ორგულთ არსებობის რეზონს და „მოქმედების უნარს.

პროვინციელი გლეხი კარგად ხედავს, რომ ის უბადლო ენერგია, რომელიც ჩვენი მმართველი წრეების მიერ იხარჯება სამეურნეო ფრონტზე, ამაგრებენ და ამტკიცებენ ქართველი სხეულის უჯრედებს და ახალ პოტენციას მატებს მის არსებობის იმპულსს. თუ ყოფილმა ხელისუფლებამ იოტის ოდენადაც კი ვერ მოახერხა კულტურული მეურნეობის სფეროში რისიმე გაკეთებისა და მთელი ქართველი ხალხის მატერიალ რესურსებს გვარდიის შენახვასა და მეზობლებთან ომსა და კინკლაობას ანდომებდა, ახალმა მართველობამ თავის ხანმოკლე დროის სიგრძეზე რამდენიმე ფრიად თვალსაჩინო ნაბიჯები გადადგა, როგორც მეურნეობისა და ტეხნიკის გაკულტუროსნების, ისე განათლების საქმეში და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დეფექტები, რომელნიც ამ საქმეების თანხლებია, ჩქარა გაიფანტება და ქართველის ფსიხიკაც უფრო კმაყოფილების იერით შეიმოსება.

ჭაობების დაშრობა, მდინარეების კალაპოტებში ჩაყენება, ხიდების და დბების აგება, სარწყავი არხების გაყვანა, კულტურული მეურნეობის იარაღების და მანქანების შემოღება (ქართლში) და მრავალი მსგავსი მოვლენებით და საგნებით მისვლა ქართველ ხალხთან, ცხადია იქნებოდა მისთვის თვალსაჩინო და გასაგები, რომ მას (ხალხს) ადვილად შესძლებოდა სწორი დიაგნოზი დაესვა და შეესწავლა არსებული ხელისუფლების რაობა. ყოველივე ესენი კი ჰქმნიან იმ პირობებს, რომლებიც სოფლელ გლეხს აახლოვებს საქართველოს პოლიტიკურ აპარატთან და საერთო საქმის მონაწილედ ხდის.

ამ დაახლოვებას ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი მმართველი ორგანოები გაწმენდილი არიან ძავნე და საეჭვო ელემენტებისაგან და ყოველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა აუცილებლად სარგებლობს გლეხობის და საერთოდ მშრომელი მოსახლეობის ნდობით.

რაც შეეხება ეკონომიურ კრიზისს, უნდა ითქვას, რომ ამას ყველაზე უფრო მწვავედ ზემო იმერეთი განიცდიდა და უკანასკნელად ეკონომიური დოვლათის შემცირებით გამოწვეული შიმშილობა შეშდება ერთის მხრით მთავრობის მიერ მიწოდებული ხორბლით დ მეორეს მხრით კერძო ინიციატივის საშუალებით შეძენილი სურსათ-სანოვაგით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დადებითი მხარე სახელმწიფო პროვინციელი ორგანოებისა, რომელიც სურსათის მიწოდების და განაწილების საქმეში გამოიხატება. ეს განაწილება ხდება ნიზანშეწონილად და ჩვეულებრივ იათლი-მამობას მრავალგან არ აქვს ადგილი. ხორბალი ნაწილდება უფრო დამშეულებზე და ღარიბებს უფასოდ ეთმობა.

ემჩნევა, რომ ის შემოწირებულებანი და დამშეულთა სასარგებლოდ გადადებული თანხები ხმარდება თავის მიზანს უკლებლად, თორემ უამისოდ უფასოდ (მრავალ ალაგას) ხორბლეულობის მიწოდება ძნელი საქმე იქნებოდა.

ახალი მოსავალი როგორც პურის, ისე სიმინდისა, მეტად კარგია და შემდეგისათვის ალბათ ნაწილობრივ მაინც ავცილდებით წლევანდლისთანა შიმშილობას.

მრავალ სოფელში და დაბაში გახსნილი არის საკვირაო სკოლები მოზრდილთათვის და სწარმოებს კულტურული საქმიანობა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

**გ. თავზარაშვილი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 43

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომსსართა საბჭო, სცნობს რა აუცილებელ საჭიროებად, რათა მიწის მომუშავე მოსახლეობა განთავისუფლებულ იქმნეს მის მიერ,— გაჭირვების ზეგავლენით,—პურეულზე დადებულ მევახშურ ხელშეკრულებათა ალსრულებისაგან,—ადგენს:

1. გამოცხადდეს გაუქმებულად ყოველი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სესხად მიცემული ხორბლეულობა უნდა დაებრუნოს სესხის მიმცემს იმ რაოდენობით, რაც თვით სესხს აღემატება **25** პროც. უმეტესა

**შენიშვნა:** ამა მუხლში აღნიშნული ყველა ხელშეკრულება გაუქმებულ უნდა იქნეს მიუხედავათ იმისა თუ რა ფორმით იქნება იგი დადებული.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლის თანხმად გაუქმებული ყველა ხელშეკრულებით მხარე, რომელსაც სესხი მიუღია [illegible] დაუბრუნოს იგი სესხის მიმცემს რაოდენობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პირველი მუხლით გათვალისწინებულს.

3. სესხის მიმცემი, რომელიც მოითხოვს მევახშურ ხელშეკრულების შესრულებას, ან მოვალეს გადაახდევინებს წინა მუხლით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტს, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, როგორც მევახშეობისათვის.

4. დადგენილება ესე ვალდებულ მხარეს არ ართმევს უფლებას მიმართოს სასამართლოს თხოვნით ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 17

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

# მოწერილი ამბები

**დ. ხარაგოული.** ხარაგოულის თემის საბჭოს კრებამ მიიღო პროექტი ხარაგეულში იდრო-მაშინის დადგმისა, რომელიც მოაწყობს დაბის და მახლობელი სოფლების ელექტრონით განათების საქმეს.

დამშეულთათვის ხორბლის მიწოდება, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც რეგულიარულად ხდება. ღარიბ დამშეულებს ხორბალი ეთმობა უფასოდ.

ხარაგეულის თემის საბჭოს აღმასკომი თავის დანიშნულების სიმაღლეზე სდგას შესაფერისად ასრულებ და განაგებს თემის საქმეებს.

დაარსებულია ხარაგეულის დრამატიული „საზოგადოება, რომლის გამგეობაც ხუთი კაცისგან შესდგება. ამავე გამგეობასა ერთი-ერთმა საზოგადო კრებამ დააკისრა თეატრის გამგეობის ფუნქციის ასრულებაც, რაც არასასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ხშირად დრ. საზოგადოების და თეატრის ინტერესები ერთმანეთს დიამეტრულად ეწინააღმდეგებიან და ამ ორი დაწესებულების ერთსა და იმავე ორგანოს ხელში ჩაგდება ორთავეს საქმეს შეაფერხებს.

ადგილობრივ თეატრში,“ მოსული გასტროლიორების მიერ ხშირად იმართება საღამოები.

ადგილობრივი სცენის ზოგიერთი მოყვარეები ინდიფერენტულ განწყობილებას იჩენენ წარმოდგენების გამართვის საქმეში. რეჟისორი და თეატრის გამგე მოქ. ე. მაღრაძე და პ. ზედგინიძე საგრძნობ შრომას ეწევიან, როგორც თეატრის საქმეების გამოსასწორებლად ისე სცენის-მოყვარეთა ორგანიზაციის შესაქმნელად.

სასურველია იმართებოდეს ლექციები—და იკითხებოდეს მოხსენება—რეფერატები, ვინაიდან, ხარაგულის მაშსტაბით, დამსწრე აუდიტორია საკმაოა.

ხარაგულის თემის საბჭოს პლენუმი და მთელი საზოგადოება, წინააღმდეგია მაჩრის ცენტრის ჭიათურაში გადატანისა.

**განთარი.**

# ამონაწერი

**ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან**

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, კონდიციის ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 მანეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია განთავისუფლოს გადასახადისაგან მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის კაცები.

1) **შენიშვნა:** თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნებას ერთი დღის განმავლობაში, გამოსვლის ფული არ უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგზავრობაზე.

2) **შენიშვნა:** ღამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება მოხდება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

# სავალდებულო დადგენილება

## № 6

## ქალაქ აღმასკომის პრეზიდიუმის

### 24 ივლისი 1922 წ. ქ. ტფილისი

თანხმად შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებისა № 9 ა. წ. პირველ მარტიდგან შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ქალაქის მცხოვრებთაგანის მიერ მოხდის შესახებ, ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს შემდეგს:

§ 1.

შრომის და ტვირთზიდვის ხარკით 1922 წ. შრომის დღის პირად შესრულების ნაცვლად, მოხდეს ერთდროული ფულის გადახდა ყველა შრომის უნარის მქონე ტფილისის მამრობითი სქესის მცხოვრებთ 18—50 წლამდის და ტვირთზიდვის საშუალებათა მეპატრონეებს იმ შემდეგი ღირებულების ფასით, რომელიც დადგენილია ნაცვლად შრომის და ტვირთზიდვის გადასახადისა შრომის სახალხო კომისარიატის მიერ ა. წ. 30 მარტის თარიღით, № 12: ა) ღირებულება მუშის 6 დღის შრომისა 5 მან. ოქროთი. ბ) ღირებულება 6 დღის შრომისა ერთ ცხენიან ტაჭკისა. ანუ ერთი მუშა საქონლისა (ცხენისა, კამეჩისა, ჯორის, ვირისა და სხვა—10 მან. ოქროთი), გ) ღირებულება 6 დღის შრომისა ორცხენიანი ეტლისა ან ორი მუშა—საქონლისა 12 მან. ოქროთი.

ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან მარტო: ა) პროფესიონალურ კავშირების წევრნი, თანახმად მათი საწევრო წიგნაკებისა, რომელთაც ექნებათ გაცემული ან აღნიშნული არა უგვიანეს 1 მაისისა 1922 წ., ბ) სასწავლო დაწესებულებათა მასწავლებელნი და მოსწავლენი 1922 წ. დოკუმენტალური საბუთების წარდგენის შემდეგ გ) წითელარმიელნი, სამხედრო მოსამსახურენი და მილიციის თანამშრომელნი, რომლებიც იმყოფებიან ნამდვილ სამსახურში, დ) ის პირნი, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ხზრუნველობის ქვეშ შრომისა და ომის გამო უნარ მოკლებულნი და ის უმუშევარნი, რომლებიც იმყოფებიან შრომის სახალხო კომისარიატის აღრიცხვაზე, სათანადო მოწმობების ან ვიზების წარდგენით, შრომის და ტვირთზიდვის გადასახადისგან განთავისუფლებაზე. ე) ის პირნი, რომლებიც ეკუთვნიან საკონსულო შემადგენლობას (უფლებით აღჭურვილნი წარმომადგენელნი, კონსულები, დიპლომატიური შიკრიკები და სხვა).

**შენიშვნა:** 1) ოჯახის წევრნი (ძმა, შვილი, მამა და სხვა), რომელნიც ეკუთვნიან იმ პირთა კატეგორიას, რომელიც ჩამოთვლილნი არიან პუნქტებში ა, ბ, გ, დ, 18-50 წლოვანობისანი არ თავისუფლდებიან ერთდროულ ფულის გადასახადისაგან. 2) აგრეთვე არ თავისუფლდება ერთ დროულ ფულის გადასახადისგან მუშა-საქონელი, რომელიც ეკუთვნის ზემოაღნიშნულ პირთ. 3) პროფესიონალურ კავშირების წევრნი, რომელთაც, აქვთ ძირითადი ჯამაგირი არა უმცირეს 14 თარიღისა და აქვთ აგრეთვე კერძო შემოსავალი, რომელიც საერთოთ აღემატება საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სტატ.-ეკონ. განყოფილების მიერ შემუშავებულ მაესიმალურ ნიხრს—არ თავისუფლდებიან ერთდროულ ფულის გადასახადისაგან.

§ 3.

განხორციელება § 1 და 2 დაეკისროს სამმართველოს განყოფილებას სამისამართო მაგიდის საშუალებით და საფინანსო განყოფილებას შემდეგის სახით:

1) მოქალაქეების საბინაო დავთრებში უკვე წარმოებულ ჩაწერის დროს სამისამართო მაგიდა ჰკრებს მათგან აღნიშნულ ხარკის სამაგიერო ფულს და ამ ფულის გადახდის დასამტკიცებლად აძლევს მათ სპეციალურ მარკებს, რომლებიც დაეკვრება მათ პირადობის დოკუმენტებზე.

**შენიშვნა:** 1) სახლების მესაკუთრენი, კომენდანტები და მობინადრეთა კოლექტივები, რომელთაც ზედამხედველობაშიაც იმყოფებიან სახლები, მობინადრენი არიან დაუყონებლივ შეკრიფონ აღნიშნული თანხები მობინადრეებისაგან და საბინაო დავთრებთან ერთად წარადგინონ ჯეროვან რაიონის სამისამართო მაგიდაში. 2) იმ სახლების მობინადრენი, რომლებსაც ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებამდი უკვე გაუვლიათ 1922 წლის საბინაო დავთრებით სამისამართო მაგიდის რეგისტრაცია, ვალდებულნი არიან ხელმეორედ წარუდგინონ თავიანთ რაიონის სამისამართო მაგიდას საბინაო დავთრები ახალ რეგისტრაციისთვის და ხელახლად შეიტანონ აღნიშნული გადასახადის ფული შრომის და ტვირთზიდვის ნატურალურ ხარკის მაგიერ; 3) თანახმად ამ სავალდებულო დადგენილების § 1 და 2 შეკრება ფულისა და საბინაო დავთრის წარდგენა სამისამართო მაგიდაში ევალება სახლის პატრონს, მოურავს, კომენდანტს ან კიდევ მობინადრეთა კოლექტივს, რომლის მზედველობაშიაც არის სახლი.

2) საფინანსო განყოფილების გამგეს ევალება გადასახადთა ბიუროს შემწეობით სასწრაფოთ წარმოება ქალაქში ტაჭკების და საქონლის რეგისტრაციისა და აღნიშნული შრომის და ტვირთზიდვის ხარკის მაგიერ ფულის შეკრება საქონელზე, თანახმად § 1, გადასახადთა ბიუროს შემწეობით, საქონლის, დროგების დროგების და ტაჭკების პატრონებს მიეცეთ ფულის გადახდის შემდეგ ჯეროვანი ღირებულების მარკები, რომლებიც, როგორც დასამტკიცებელი საბუთი შრომის და ტვირთზიდვის მაგიერ ფულის გადახდისა უნდა იყვნენ დაკრულნი მუშა საქონლის და ტაჭკების პატრონების მოწმობაზე.

3) შეკრება ამ გადასახადისა დამთავრებულ იქმნეს ამ წლის პირველ ენკენისთვისთვის.

§ 4.

თანახმად საქართველოს რევკომის დადგენილებისა ა. წ. 23 თებერვლის თარიღით: № 149, იმ პირთ, რომლებიც არ შეიტანენ ვადაზე ამ ხარკის სამაგიერო ფულს, დაეკისრებათ ხუთჯერ მეტი ღირებულება ამ ფულის გადასახადისა, ან არა დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით სამმართველოს განყოფილების გამგის ხელისუფლებით დატუსაღებით გამასწორებელ სახლში ორ თვემდე, ან ფულით ჯარიმით 20 მილიონ მანეთამდე.

§ 5.

ის სახლის პატრონები, კომენდანტები სახლებისა, მოურავეები ანუ მობინადრეთა კოლექტივები, რომელთა განკარგულებაშიაც არის სახლი და რომელნიც არ შეასრულებენ ამ სავალდებულო დადგენილებას, იხდიან ჯარიმას თითოეულ წარმოდგენილ ფულის გადამხდელ მობინადრეზე, თანახმად § 1 და 2, სამ-სამ მილიონ მანეთს.

§ 6.

აღნიშნული სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**

საფინანსო განყოფ. გამგე **თ. დელონტი.**

საბინაო მმართველობის განყ. გამგე **თაქთაქიშვილი.**

მდივანი **ხუნდაძე.**

ტირაჟი 1000
საქართვ. ცენტ. მეურ. საბ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა. [illegible]